



დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება #11

2015 წლის 6 თებერვალი

ქ. დუშეთი

**დუშეთის მუნიციპალიტეტის კუთვნილი „პოსტ-ტერმინალ P-90 GPRS“ აპარატისა(ა)იპ
„დუშეთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახურისთვის“ უსასყიდლოდ
სარგებლობაში(თხოვების ფორმით) გადასაცემად დუშეთის მუნიციპალიტეტის
გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტის, ამავე კოდექსის 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის და ამავე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. მიეცეს თანხმობა დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებელს, ა(ა)იპ „დუშეთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახურს“ უსასყიდლოდ სარგებლობაში (თხოვების ფორმით) გადასცეს დუშეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონება, კერძოდ:
„პოსტ-ტერმინალ P-90 GPRS“ აპარატი(საწყისი საბალანსო ღირებულება 700 ლარი, ნარჩენი საბალანსო ღირებულება 527 ლარი).
2. ეს განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ლაფანაშვილი